ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 158
ივლისის 27, შაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 158
ივლისის 27, შაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი
„ი ვ ე რ ი ა“
ღირს **ხუთი მანეთი** და 50 კაპ. (5 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდპირ).

ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2 664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნ ა ვ ო ხ ნ ო ბ ა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, საცა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვევ და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—7)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ქართველ ქალთა
ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (**МЕТКИ**). ბარონის ქუჩა. № 12

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დედა საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

გორში
ექიმი ქ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

ქ ა ლ ე ბ ი ს
პროგიმნაზია
ელენე ბახტაძისა
დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ, პირველ, მეორე, მესამე და აგრეთვე წელს გახსნილ **მეოთხე** პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდამ და გაგრძელდება მთელის წლის განმავლობაში.

თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის **ელენე ბახტაძის** სახელობაზე.

სწავლის საფასური, როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში, 30 მანეთია წელიწადში.

(3—391—1)

ყოვლად-სამღვდელო დიმიტრის, ალავერდის ეპისკოპოსის, განკარგულებისამებრ
საეკკლესიო მუზეუმი ქართველ სამღვდელოებისა
ღ ი ა ა

სამშაბათ-ხუთშაბათობით 9—11 ს.
და კვირაობით 10—1 ს.

ვისაც ჰსურს მუზეუმის დათვალიერება სხვა დღეს, კეთილ ინებონ მიჰმართონ მისს გამგეს მ. გ. ჯანაშვილს (კუკია, მინკვიცევის ქ., № 27).

(10—388—6)

ვ ე ქ ი ლ ი
ა. მ. ახნაზაროვი
გადავიდა

ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.

ნახვა შეიძლება დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე კვირა დღეობით, მარტო დილით 9—12, საათამდე.

საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე.

(10—01)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. მ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესი ბრძანება.

რა შეღავათი უნდა მიეცეს სამხედრო ბეგრის მოხდაში იმ ახალგაზდათ, რომელნიც სასწავლებლებში იმყოფებიან.

შეერთებულს დეპარტამენტებში კანონებისა, სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა, სახელმწიფო ეკონომიისა და მრეწველობისა, მეცნიერებათა და ვაჭრობისა და საერთო კრებაზედ სახელმწიფო საბჭომ განიხილა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრების მოხსენება, რომ დამატებითი ვადა მიეცეს ახალგაზდობას სწავლის დასრულებამდე და დაადგინა:

1) პატივსადებ შემთხვევებში სასწავლებელთა უფროსებს ნება ეძლევათ იშუამდგომლონ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ მათდამი რწმუნებულს სასწავლებელში მოსწავლე ყმაწვილები არ გაიწვიონ სამსახურში სწავლის დამთავრებამდე. შუამდგომლობა უნდა წარუგზავნოს შინაგან საქმეთა მინისტრს: ეს უკანასკნელი მოელაპარაკება სამხედრო მინისტრსა და იმ მინისტრს, რომელსაც სასწავლებელი ექვემდებარება და მოახდენს ამა თუ იმ განკარგულებას.

2) რაც შეეხება იმათ, რომელნიც უაზსხთა ჯარის მოსახლეობაზედ არიან მიწერილნი, მათი შუამდგომლობა სამხედრო მინისტრს უნდა წარუგზავნოს. ეს უკანასკნელი მესაბამ სამინისტროს აზრის მიხედვით მოახდენს განკარგულებას.

მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ სახელმწიფო საბჭოს აზრი 3 ივნისს 1902 წ. უმაღლესად დაამტკიცა და მისი სისრულეში მოყვანა ბრძანა.

ჩაირიცხა სამსახურში სათადარიგო ჯარში მეთოფე პოდპორუჩიკი **თავადი წერეთელი** იმიერ-კასპიის 1 მსროლელ ბატალიონში.

გადაყვანილ იქმნა ქუთ. მაზ. ბაღდადის საგამომძიებლო ნაწილის გამგე კოლეჟსკი ასესორი **კიზირია** ტფილისის გუბერნიაში მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ.

ტფილისი, 27 **ივლისს**.

ბ-ნი ივანე ჩიქოვანი შულავრიდგან (ბორჩალოს მაზრა) „ივერიის“ 153 ნომერში სწერდა 20 ივლისს: „ამ დიდის ხნის წინად აშენებულ და ხავს მოკიდებულ ციხის (შულავრის) კედლებზე შევამჩნიე ახლად ჩასმული თეთრი ქვები სომხურ წარწერებით, გეგონებათ გუშინ ჩაუსვამთო! ქართული ნაწერი-კი გადუფხეკიათ.

მღვდ. სტ. ბაიდოშვილი ბორჩალოდანვე, იმავე ივლისის 25 დღის „ივერიაში“ სწერს: „ბორჩალოს მაზრაში, მოშავრის ხეობაზე, ს. დმანისიდგან დაყოლებული ახლანდელ არახლომდე მთელი ჩვენი ძველი ნაშთნი ან თათრების ხელშია და ანადგურებენ, ან-და „არამიანცებს“ უპყრიათ. ავიღოთ ახლა ის ეკკლესიები, რომლებიც კი არიან მებატონის მამულებზე. ეს ორი თუ სამი წელიწადია, აშკარად ვეღარ ჰბედავენ „ძმათა შვილები“ ტაციობას, მაგრამ აქა-იქ ხუცურად ნაწერ ქვებს აძრობენ და მათ მაგიერ კედლებში სმენ სხვა ქვებს ზედ წარწერით „არამიანცულს“ ენაზე. არავინ ჰყავს დამშლელი, ვინაიდგან ჩვენმა „აღმაშენებლებმა“ დაათავეს, დაყიდეს მამულები და სამუდამოდ გადასცეს მელიქ-აღებს.

„ვისაც ეს საქმე ეინტერესება, ნუ დაიშურებს ორიოდ მანეთს და ერთი ამოიხედოს, შეჰხედოს კვირაცხოვლის ეკკლესიასს. აკაურთაში, დაათვალიეროს მისი შიგნითი და გარეთი კედლები, რომ ნათლად დაინახოს და შეიტყოს „არამიანცების“ საქმენი საზიზღარნი.

„ს. ტანძიანში გაუქმებული მშვენიერ გეგმაზე აშენებული ღვთისმშობლის სახელობაზე ეკკლესია მხედრულის ზედ წარწერით, დღეს თუ ხვალ, რჩებათ სომხებს; აგრეთვე ს. ქვეშიც. რატევანში კიდევაც გადაუკეთებიათ თავიანთ წესზე და არ შერცხვენიათ იმისი, რომ თვით ეკკლესიის ამშენებელი ქართველი თავადი ბარათაშვილი შიგ ასაფლავია. ბოლნისის (ხატის სოფელი) წმინდა გიორგის ეკკლესია დიდი ხანია მონათლეს „სურფ გეურქათ“.

ასეთი ამბავი არ ახალია ჩვენის მეზობლებისაგან, მაგრამ რას ჰფიქრობს ჩვენი სამღვდელოება, ნეტა ვიცოდეთ? ნუ-თუ ჰგონია, სამწყსოს მარტო მრევლი შეადგენდეს და ეკკლესიებს პატრონობა აღარ ეპირვებოდეს, რა-კი მამა სტ. ბაიდოშვილისა არ იყოს, „ქამთა უწყალო ტრიალით“ გაციებულან? თუ ქართველი თავადიშვილი ჰყიდის სომეხზე თავისს მამულსა და ახალის პატრონის ანაბარად სტოვებს ბედს საქართველოს ამა თუ იმ საქრისტიანო-საისტორიო ძეგლისას, რომელიც ამ მამულში იპოვება; თუ ჩვენ არას დავდევთ იმ ძეგლების ბედსა, სამღვდელოება ხომ მარტო იმისთვის არის მოწოდებული, რომ ემსახუროს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას და დაიცვას იგი და მისი ტაძრები, როცა ვინმე ან რამე ემუქრება.

არა. ჩვენს სამღვდელოებას ჩვენის მებატონეების აყოლა არ არგია; როცა იგინი ჰყიდიან, ან ეყიდებათ მამული, ქართველი მღვდლები ხელ-ფარხმლიან დარაჯად უნდა უდგნენ მართლმადიდებელ ტაძრებს და არავინ მიუშვან მის დასაპატრონებლად, რადგანაც იმათი მფარველია კანონი, რომლის ძალით ეკკლესიებზე ხან-გასულობის უფლება არა ვრცელდება.

ჩვენ კიდევ იმედს არ ვკარგავთ, რომ ჩვენი სასულიერო მთავრობა ხელს გამოიღებს მართლ-მადიდებელის ეკკლესიების პატრონობის საქმისათვის და მით უზრუნველ-ჰყოფს თვით მართლმადიდებლობას, რომელიც დღეს განსაცდელშია ჩავარდნილი და რომლის გამარჯვებისათვის ასე-კი ოცნებობს.

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ ვითომ სათავად-აზნაურო ბანკის მოგების განაწილების უფლება თავად-აზნაურობას ჩამოერთვა და ისევ ბანკის წევრთ გადაეცა.

✦ მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ალექსის განკარგულებით აგვისტოში მოხდება კრება ტფილისის სასულიერო სემინარიაში სასულიერო სასწავლებლების უფროსებისა. კრებაზედ განხილულ იქნება სხვა-და-სხვა საგანი სასულიერო სასწა-

ვლებლების გაუმჯობესებისა და მოწესრიგების შესახებ. სასულიერო სემინარიის მთავრობამ უკვე გაუგზავნა ქაღალდი სასულიერო სასწავლებლის უფროსებს და სთხოვს კრების დაწყებამდე წარმოადგინონ წერილობითი მოხსენება ამა თუ იმ სასურველ ცვლილების შესახებ სასულიერო სასწავლებლებში. უფროსებმა სემინარიის ზოგიერთ მასწავლებლებთან ერთად ამ კრებაზედ უნდა შეიმუშაონ, რა გვარად შეიცვალოს დღევანდელი პროგრამები საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლებისა.

✦ წელს გერმანიის ქალაქ მიუნჰენში სწავლობდნენ ხუთნი ქართველნი. ერთი მათგანი—პლატონ მოდებაძე—ლეიპციგში გადავიდა და სწავლობს იქაურს უნივერსიტეტში ქიმიას. დანარჩენს ოთხში ორი, სახელდობრ, პორმენ კახიანი და ირაკლი მჭედლიშვილი სწავლობენ საპოლიტეხნიკო სასწავლებელში, მესამე—რაჟდენ დათეშიძე სწავლობს ლუდის მზადების უმაღლეს აკადემიაში, მეოთხე—ტარასი მომცელიძე სწავლობს უმაღლესს სამეფო სამხატვრო აკადემიაში. სხვათა შორის, ტარასი მომცელიძეს აკადემიისთვის წარუდგენია ესკიზი—„ქართველთ აგუნა“ (ბახუსი). ეს ნახატი ფრიად მოსწონებია აკადემიას და პირველის ხარისხის ნიშნით დაუსაჩუქრებია ჩვენი ნიჭიერი მხატვარი.

ლეიპციგში იმ ზემოხსენებულ ყმაწვილს გარდა სწავლობს კიდევ ვლ. ახმეტელაშვილი უძველეს სამეცნიერო სასწავლებელში საპოლიტიკო ეკონომიას. უკვე მესამე წელიწადია, რაც ეს ყმაწვილი ლეიპციგშია და ზედმიწევნით აქვს შესწავლილი გერმანული. ლეიპციგშივე მივიდა წელს და იმავე სასწავლებელში შევიდა ვასილ დუმბაძე.

ბერლინში სწავლობს ამ ჟამად ბარნაბა პაპავაც სამთა-მადნო აკადემიაში. ამ ახალგაზდამ კარგად იცის, გერმანულს გარდა, ინგლისური და ფრანგული. მერმისს გაათავებს სწავლას. ბერლინშივე სწავლობს მკურნალობას ერთი ქართველი ყმაწვილი კაციცა, გვარად ღამბარაშვილი. გერმანიის ერთ-ერთს ქალაქში სწავლობს სამთა-მადნო აკადემიაში ნიკ. კანდელაკი.

✦ ქართული დრამატ. საზოგადოება უკვე შეუდგა განსვენებულ დავით გიორგის ძის ერისთავის პიესების კრებულის ბეჭდვას.

✦ სურამიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ოთხშაბათს, 24 ივლისს, გამართულ იქმნა იქ რუსულ-ქართული წარმოდგენა ცხინვალში ცეცხლით დაზარალებულთა სასარგებლოდ. წარმოადგინეს ქართულად „ადვოკატთან“ და რუსულად „Изъ за мышенка“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქართულის დასის მსახიობნი. დივერტისმენტში იმღერა ნ. გაბუნია-ცაგარლისამ. წარმოდგენას და თან სეირნობას დიდ-ძალი ხალხი დასწრობია და შემოსავალი ყოფილა 800 მანეთამდე.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოება ამზადებს საპატიო დიპლომებს და ამ დღეებში უგზავნის ბ.ბ-ნთ წინამძღვრიშვილს, ფინანსთა მინისტრის ამხანაგს კოვალიოვს, დოკუჩაევს, პროფესსორ პეტრიაშვილს და ხოჯაევს, რომლებიც ამა საზოგადოების საპატიო წევრებად იქმნენ ამორჩეულნი.

✦ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ წარსულ აპრილში, კაპიტანმა ნეჩაევმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას თავისი სხვა-და-სხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიყიდოს ხორცი ქალაქის საყასბო დუქნებში და რა გვარად უნდა დაიყოს ხარისხებათ გასაყიდი ხორცი. ბ-ნ ნეჩაევს ამ ცოტა ხანში წარუდგენია აგრეთვე გამომცხვარ პურის ხარისხებად დაყოფის გეგმაც და სთხოვს, თუ სურს ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის მცხოვრებთ რაიმე შეღავათი მისცეს, განიხილონ ეს საგანი ერთ ერთს თავისს კრებაზედ.

✦ ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს მომავალ აგვისტოში სხვა-და-სხვა სურსათ-სანოვაგეზედ დააწესოს ახალი ნიხრი; აპირებს აგრეთვე ხორცის ფასის შემცირებასაც.

✦ 23 ივლისს, ტფილისის გუბერნატორისაგან ქალაქის გამგეობას შემდეგი ქაღალდი მისვლია; „ტფილისის ფურცლის“ 166 ნომერში დაბეჭდილი იყო სამხედრო ექიმის კლიოსის შენიშვნა, რომ ნავთლუღში, ანიჟევის დუქანში, მთლად ასუნებული და უვარგისი ხორცი ვიყიდეო. რადგანაც ამისთანა ამბავი მრავალი მესმის და არა მარტო კლიოსი სჩივის ყასაბთა თავ-გასულობას, მე ვგონებ, ეს სულ იმის ბრალია, რომ ქალაქის გამგეობას არა აქვს საკმარისი ყურადღება მიქცეული ქალაქის ვაჭრებზედ; ამიტომ გუბერნატორი სთხოვს გაამწესოს ქალაქმა საკმაო რიცხვი მეთვალყურეთა და რაც შეიძლება მალე მომცეს ყოველ ამის შესახებ ჯეროვანი პასუხიო.

✦ ამავე საგანზედ ქალაქის გამგეობას გუბერნატორი სწერს: ტფილისის გაზეთებში დაბეჭდილი იყო ცნობა იმის შესახებ, ვითომ კლიოსის მიერ უვარგისი ნაყიდი ხორცი გარდაეცა შესამოწმებლად ექიმებს, მელქუმოვს და ტერ-სტეფანოვს და ამათ ეს უვარგისი ხორცი გამოსადეგად სცნეს, ბოლო თუ იხრწნება და სუნი ასდის, ექიმის ბრალია, რომ ვერ შეუნახავთ ხეირიანადაო; ვერ გამიგია, რას ნიშნავს ესა? უვარგისი გამოსადეგათ როგორ უნდა სცნოს ადამიანმა? ვთხოვ ქალაქის გამგეობას დაწვრილებით შემატყობინოს რა ამბავია ესაო.

✦ ხვალ, 27 ამ თვეს, ტფილისის პოლიცმეისტერს უთავდება ვადა დათხოვნისა. ხვალიდან პოლიცმეისტერი კოვალიოვი შეუდგება თავისის თანამდებობის აღსრულებას.

✦ მეორე ლიანდაგის გაყვანის გამოკვლევათათვის ყვირილა-ხაშურს შორის დაუნიშნავთ ინჟენერი პროკოფიევი და იაკუბოვსკი („ნოვ. ობ.“).

✦ იმავე გაზეთის სიტყვით, საქმე ტირძნისელ გლეხებისა, რომელთაც იარაღით ხელში წინააღმდეგობა ჰბრალდებათ სამოსამ. ბოქაულის ქარსიძისა და პოლიციის ბოქაულის ყანჩელისათვის მოვალეობის აღსრულების დროს, დანიშნულია 10 ენკენისთვეს გორში.

✦ „ტფილისის ფურც.“ ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ კვლავ დაიწყეს აქ ლაპარაკი ამიერ-კავკასიაში საშუალო სამრეწველო სასწავლებლის დაარსების შესახებ, რაც შეიძლება მალეო.

✦ ქალაქის ტეხნიკოსს მელიქ-ბეგლაროვს მიურთმევია ქალაქის გამგეობისათვის ქაღალდი და სთხოვს, რომ ავჭალის ქუჩ. № 48, ახუნდოვის სახლში აქ არსებული ექვსი დუქანი გამგეობამ მალე დაანგრევინოს, რადგანაც 1) შენობა ძველია, 2) ხისაა და 3) იქვე სახერხი ქარხანაა გამართული და ამიტომ ცეცხლის მხრივ სახიფათოაო.

✦ ტფილისის ქალაქის ტეხნიკოსი, მელიქ-ბეგლაროვი აცნობებს ქალაქის გამგეობას, რომ დიდუბეში, სახლის პატრონს ბუხრაძეს, სადაც ბავშვების თავშესაფარია, თავის ნებით ფლიგელისთვის მესამე სართული დაუდგავს ხისა, რაც ცეცხლის მხრივ საშიშია, როგორც ბავშვთა თავშესაფარისთვის, აგრეთვე მეზობელ სახლებისათვისაც, ამიტომ მელიქ-ბეგლაროვი სთხოვს გამგეობას, გასცეს ბრძანება და ეს შენობა აადებინონ.

✦ ტფილისის გამგეობა სთხოვს მე-9 უბნის ბოქაულს შეაჩეროს მუშაობა საგურამოს და დიდუბის ქუჩებზედ, ნოვოკაიტის სახლში, რადგანაც ბ-ნ ნოვოკაიტის თითქმის ერთ არშინამდე მოუყოლებია ქალაქის მიწა შენობის საზღვრებშიაო.

✦ 22 ამ თვეს ორთაჭალაში, ვორონცოვის ქუჩაზედ გაქანებულმა ეტლმა № 86 გაიტანა არუთინ მიკირტიჩევი, რომელსაც მძიმედ დაუშავდა თავი და თეძო. მეეტლე გიორგობიანი შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს.

✦ 25 ამ თვეს, მე-9 ნაწილში, მზარეულმა ხარლამპი მშვიდობაძემ ნიკოლოზის ქუჩაზედ, ჩხუბის დროს, მძიმედ დასჭრა თავში და ხელში ღამე დარაჯად მდგარი მეეზოვე მინას საგინიანცი; მშვიდობაძე შეიპყრეს, საგინიანცი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

—

შეცდომის გასწორება:

გუშინდელს „ივერია“-ში, ფელეტონად დაბეჭდილს წერილში შემდეგი შეცდომანი აღმოჩნდა: პირველსავე სვეტზედ, სტრიქ. 16 დაბეჭდილია: უძლურება, უნდა იყოს: უძლეველობა. უკანასკნელს სვეტზედ, სტრიქ. მე-16 დაბეჭდილია: მის მოსამზადებელს, უნდა იყოს: მის მასაზრდოებელს.

ჩვენებური ამბები

ჭიათურის გზაზედ, 23 ივლისს, მატარებელი № 50 გადასცდა ლიანდაგს და სამი ვაგონი სრულიად დაიმტვრა; კაცთაგან მარცხი არავის მოსვლია, რადგანაც იმ დროს ვაგონების საფეხურზედ არავინ იდგა.

—

სამეგრელო. ერთს დროს სამეგრელოში შემოღებული მეგრული ანბანი, ვითომ-და მეგრელების გასანათლებლად და მერმე უკუგდებული, როგორც უვარგისი და მოუხერხებელი, ხელახლავ ჩნდება ზოგიერთ არა-მკითხე ცრუ პესტალოცის წყალობით. შავუკუღმა სახსენებელ აშორდიას დამჭკნარი დაფნის გვირგვინი ეტყობა მოსვენებას არ აძლევს ამ პედაგოგს. მისის რჩევითა და დარიგებით ამ ბოლოს დროს ფიქრობენ შემოღებულ იქმნას სამეგრელოს სახალხო სკოლებში ისევ მეგრულ ენის სწავლება. ამისთანა ძალით ცხონება გაგონილა და ქმნილა?! ეს ვაჟბატონები ვერ დაარწმუნა წარსულმა გამოცდილებამ, რომ არავითარი მეგრული ანბანი არ ყოფილა და არც საჭიროა, რომ ის რაღაც სასაცილო ანბანი მოგონილია ისეთ ფილოლოგებისაგან, როგორიც აშორდიაა. მოგონილი იყო არა მეგრულის სასწავლებლად, არამედ იმიტომ, რომ მის საშუალებით სამეგრელოს სკოლებიდან ქართული განედევნათ.

—

ფოთი. 17 ამ თვეს აქ უეცრად გარდაიცვალა ნიკო თედორაია. 17 ამ თვეს, ნასადილევს, მისულიყო ხვიჩია ფერშალთან, მიელო რაღაც წამალი და იქვე გამოჰსალმებოდა წუთი-სოფელს.

—

გუშინ, 19 ამ თვეს, გ. დიდის ხე-ტყის ქარხანაში ერთი მუშა მოჰყვა ხერხს, რომელმაც ცალი ფეხის თითები სრულიად დააჭრა. დაშავებული მაშინათვე იქმნა გაგზავნილი ექიმთან, სადაც მას აღმოუჩინეს შესაფერი შემწეობა. აქაურ ქარხნის პატრონებს რომ ჰყოლოდათ ამ გვარ ხამ მუშებისთვის თვალ-ყურის მდებელი და გამოცდილი კაცი, ამისთანა სამწუხარო ხიფათს გადურჩებოდა ზემოხსენებული მუშა.

აქ ხე-ტყის ქარხნები 10-მდის იქნება და აუცილებლად საჭიროა მათმა პატრონებმა მუშების დაზღვევა შემოიღონ.

—

ეს ერთი კვირაა, რაც გლახა დარი გვიდგას და წვიმა მოდის. სწორედ ზამთარი გაგვახსენდა, ისე შეიცვალა ჰაერი. გასაკვირია შუაგულ ივლისში ამისთანა ჰაერი. თითქმის განუწყვეტლივ წვიმს.

ნოქართაგანი.

—

ლანჩხუთი. აქაურ სამკითხველოს შესახებ კიდევ მოხდა კრება. კრება დაიწყო კვირას, 21 ივლისს, საღამოს 4 საათზე, სკოლის დარბაზში, რომელსაც დაესწრო დიდ-ძალი ხალხი. თავმჯდომარეთ მღ. დ. იმნაიშვილი ამოირჩიეს. აღიძრა კითხვა: ძველ მმართველს, ბ. კირილე წილოსანს სრულიად გადახდეს ის 441 მანეთი და 57 კ., რომელიც სარევიზიო კომისიის წევრებმა დაადევს, თუ ეპატიოს რამეო. ეს კითხვა იმან გამოიწვია, რომ ბ. წილოსანი უარობდა ამ ფულის გადახდას: ბიბლიოთეკის ბიჭმა შემიჭამა ეგ ფულიო და ამიტომ თქვენც უნდა მაპატიოთო. ამის შემდეგ კრებამ დაადგინა ეპატიოს ბ. კ. წილოსანს 91 მანეთი და გადახდეს 350 მ. და 57 კაპეიკიო. მაგრამ ბ.წილოსანმა ამაზედაც უარი განაცხადა და ეძებს, თუ სად და ვინ შეუჭამა ეს ფული. სამკითხველო-კი ჯერაც დაკეტილია.

ლახვრაძე.

—

ყვარელი. ქურდობა გაძლიერდა ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენმა გასაწყლებულმა საზოგადოებამ ამოირჩია თორმეტი პატიოსანი კაცი და მათ მიანდო სოფლის დაცვა-პატრონობა, ქურდ-ბაცაცების დევნა, ამოგდება. ამ 12 კაცთა შორის ურევია გლეხი ივანე ბურკიაშვილიც. არჩეულებს ეძლევათ თვეში თითო თუმანი, სამეველო გასამრჯელო კიდევ სხვაა. ამდენ ხარჯს იხდის საზოგადოება და ამაოდ-კი, ქურდობა, როგორც ვთქვით, თანდათან ძლიერდება და არა კლებულობს. ამორჩეულებს ჰმართებთ უფრო ბეჯითად მოეკიდნენ ნაკისრ საქმეს…

—

ხევი. ხევის ავ-კარგიანობაზედ დიდი ხანია არა მომიწერია-რა და ახლა გწერთ. ბევრი რამ ცუდი ამბავი ხდება ჩვენში, ბევრ რაზედმე შეგვტკივა გული, მაგრამ, ღვთის იმედით, ვნუგეშობთ, ვამბობთ: „კეთილმა სძლივა ბოროტსა, არსება მისი გრძელიაო!!“ დიაღ, ცვლილება აქვს ადამიანის სიცოცხლეს და ამინდს მიემგზავსება: ხან მზეა, ხან ღრუბელი, ხან თოვლი, ხან წვიმა, ხან ქარია, ხან სეტყვა…

ამ უკანასკნელს დროს ჩვენში გავრცელდა ქურდ-ბაცაცობა და ბოროტ-მოქმედება; ყველამ იცის, ვინ არიან ესრეთი ავი კაცები, კიდეც სჩივიან, მაგრამ არა რიგდება-რა, ჩვენივე თანამოძმე ქურდები, ქისტებს დახმარებით, თავისუფლად განაგრძობენ თავიანთ ხელობას. არც-კი მალვენ, რომ ავკაცობენ. ამ უბედურებს გაუგონიათ, რომ კაკო ბაჭიაშვილი და არსენა ოდელაშვილი ყაჩაღები იყვნენო და ამით სახელი გაითქვესო, ვითომ-და ჩვენც იმათებურ სახელს მოვიხვეჭავთო. საწყლები!…

ამ ცრუ არსენებს თავს ვანებებ და ახლა ჩვენი სკოლების შესახებ მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას.

წარსულ მაისის 30-დამ თიბათვის 2-დის ეგზამენები იყო სტეფანწმინდის და სნოს სკოლებში. სტეფანწმინდის სკოლა, რაც გაიხსნა, მას აქეთ სრული ათი წელიწადია და სნოსი-კი ორი. ყაზბეგის (სტეფანწმინდის) სკოლამ ათის წლის განმავლობაში გამოიცვალა ხუთი მასწავლებელი, სნოს სკოლამ-კი ორი. ორივე სკოლის მოწაფეები გამოსცადა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ინსპექტორმა ე. ბ. მამინაიშვილმა თანადასწრებით ადგილობრივის მღ. ნ. კანდელაკისა, მ. გიორგი სირაძისა და ორივე სკოლების მასწავლებლების ე. სირბილაძესი და მ. მარკოზაშვილისა. ბ-ნი მამინაიშვილი კმაყოფილი დარჩა ორივე მასწავლებლის მეცადინეობით და სნოს სკოლის მასწავლებელს ეფროსინე ალექსის ასულს ბაკურაძეს მადლობა გადაუხადა.

თუმცა სნოს სკოლა სტეფანწმინდის სკოლასთან შედარებით გაცილებით გვიან დაარსდა, ესე იგი რვა წლის შემდეგ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ სნოს ხალხი უფრო თანაგრძნობით მოეკიდა თავის შვილების წინ-მსვლელობის საქმეს, ვიდრე ყაზბეგის მრევლი. სიონის მრევლი ხომ ყველა მხრივ უკან ჩამოვრჩით და არც სკოლა გვაქვს და არც წიგნთ-საცავი, თუმცა დაპირებით კი გვპირდებიან.

სნოს სკოლის თავ-შესაფარის აშენების დროს ამ სოფელს შემწეობა აღმოუჩინა თვით ინსპექტორმა ბ-ნმა მამინაიშვილმა ნივთიერად 50 მანეთით და ფულად 15 მანეთი, ღენერალმა გიორგი ყაზბეგმა—50 მანეთი, გარდაცვალებულის ალექსა გოდერძიშვილის ქვრივმა ქმრის სულის მოსახსენებლად მარიამ სოსიკას ასულმა—70 მანეთი, და ამავე სკოლის ხოროს 10 მანეთი. ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს მოწაფეების რიცხვი ორივე სქესისა ავიდა ასამდის, გამოცდის დღეს-კი დაესწრო 87 მოწაფე. ეგზამენის დაწყების წინად წირვა იყო სოფელ სნოში, წირვის დროს გალობდა ხორო მოწაფეებისა თავიანთ მასწავლებლების ლოტბარობით. წირვის შემდეგ ბ-ნმა მამინაიშვილმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა: აუხსნა ხალხს საჭიროება სკოლისა, განუმარტა, თუ რამდენად საჭიროა ერი გულწრფელად ასრულებდეს ეკკლესიის მოთხოვნილებას და იქონიებდეს მასთან მჭიდრო კავშირს. უმეტეს ყოვლისა საჭირო არისო დედების აღზრდა. წინად ჩვენს წინაპრებს არც ერთი ერი არ სჯობდაო გმირობით, რადგან ქალები მტკიცე ხასიათისანი იყვნენო და დედა ბავშვს აკვანშივე უმღეროდა საგმირო და სავაჟკაცო სიმღერებსო და უნერგავდა გულში და სულში მამულის სიყვარულსო… შემდეგ სნოს მცხოვრებელთ ერთის პირით სთხოვეს ბ-ნს ინსპექტორსა, რათა მან იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან, რომ

ფელეტონი

სოფლის ამბები

საწყალი ჩვენი გლეხკაცი! ნეტა ამ ჩვენს „დიდ განათლებას“, ამ კაცობრიობის გამბედნიერებელს დარგს მოუგონია ისეთი რამ, რომ ბეჩავს ჩვენს გლეხ-კაცს მისცხებოდეს რამ და შეღავათი მისცემოდეს მის მრავალტანჯულს ცხოვრებას?!

თითქოს ამ სოფლად გლეხ-კაცის ყოფა-ცხოვრება ანგარიშში ჩასაგდები არ იყოს: უყურებს საცოდავი ამ ჩვენს განცხრომას, ცხოვრების მეჯლისს და, საბრალო, ტუჩებს აცმაცუნებს კმაყოფილების ნიშნად; სწორედ იმ კაცის ამბავს მოგაგონებთ, რომელიც ამბობს: „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“.

ჩაგვიკიდნია ამ უბედურის შვილისთვის სარტყელში ხელი, ვითომ გვინდა ჩავითრიოთ როგორმე საერთო, ეგრედ წოდებულ „ცხოვრების მეჯლისში“ და იმას-კი აღარ ვკითხავთ, თუ იმის სახლში რა სამგლოვიარო ზარი გაისმის, ან რა გულით გვაძლევს ბანს. ერთი სიტყვით, ყველა ეს ჩვენი ბედნიერება იმისთვის ხელ-მიუწვდენელია, განათლების სხივი ბეჩავს აგრე რიგად არ სწყალობს,—დედი-ნაცვალურად ექცევა. ბეჩავი სოფლელი ამ ქვეყნის უტყვ მოწმად გამხდარა, და ეს უხვად მონიჭებული ამა სოფლის სიამენი ჩვენს გლეხს შორს გაურბის: „по усамъ текло, въ ротъ не попадало“-ო.

ამ ბოლოს დროს ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ მხეცებსაც და ოთხფეხ საქონელსაც-კი ლამის შეუმსუბუქოს სიცოცხლის ტვირთი: კამეჩს სახრეს ნუ დაჰკრამთო, ლაფანის შოლტი იხმარეთ, თორემ ცოდოა, ეტკინებაო და წაართვეს გლეხ-კაცს სახრე. ნადირს, ონავარს, თუნდა ძირიანად ამოგაგდოს, ამა და ამ დროს ნუ მოჰკლავო; და ბოლოს დროს ყველა ეს ოთხფეხთათვის საკეთილო სიკეთე ჩვენს გლეხს სახიფათოდ გარდაექცა. იფნის სახრეც ამ უბედურს ბეჭებზედ გადაილეწა. მხეცისა და ნადირის გათამამებას ხომ ვიღა სჩივის?!

ვის არ გინახავთ ქალაქში ჩამოსული მეურმე, რომელსაც სახრის წართმევაზედ კარგები მოჰხვედროდეს. საწყალი სჩივის, ასე და ასე დამემართაო; დახეთ, ამის გულუბრყვილობას! ყოველს ბრალს იმას-კი არა სდებს, ვინც ბეჭები აუჭრელა, არამედ თავის ნიკორას; მეც, თქვენი ყურ-მოჭრილი ყმაც-კი, ვიყავ, ჩემდა უნებურად, ერთის ამისთანა საზიზღარ საქციელის მნახავი; გლეხი ხარივით ბღაოდა ყვითელ სანთელივით გამოსულ იფნის სახრის ქვეშ, რომელიც „გარადოის“ წაერთმია და ტლანქის ხელით უჟაპუნებდა.

ვინ იყო იმის პატრონი!? განა, ამისთანა მაგალითები ერთი და ორია? განა, ოთხფეხთა საზოგადოებამ რომ წაართვა გლეხ-კაცს სახრე, დაადგინა, გლეხ-კაცს მოახმარეთო? მიკვირს, რომ როცა ასეთი რამ იყო დადგენილი: გლეხ-კაცს სახრის დაჭერა აეკრძალოსო, იქვე ამ გადაწყვეტილებას ქვეშ არ მოაწერეს: ნურც ამ ორფეხს, ეგრედ წოდებულს კაცს, ნურას ავნებთ ამ სახრითაო. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ კიდეც იყო ამისთანა დადგენილება, მაგრამ კარგს დადგენილებას კარგი გაგებაც უნდა და უფრო კარგი აღმასრულებლები; აღმასრულებლები-კი, განა, არ მოგეხსენებათ, ვინც არიან დღეს ჩვენში.

* * *

მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ. ეს წვრილმანი რა ანგარიშში ჩასაგდებია გლეხის ცხოვრებაში! გლეხს განა მარტო „გარადოის“ ცემა აუტანია? რამდენი მაგისთანა სახრე უნახავს მის ბეჭებს! ერთი ფეხი რომ მაღლა ადგათ და იქიდგან გადმოიხედოთ, უფრო საზარელს სურათს დაინახავთ.

მოდი ავყვეთ ესე მტკვარ აღმა, შევიხედოთ ამა თუ იმ სოფელში და დავინახოთ, სად რა საფრთხეს დაუბუდნია იქ გლეხ-კაცის საუბედუროდ. შორს ნუ წავალთ. შევსდგეთ. ჰხედავთ აიმ სოფელს გულხელი რომ დაუკრეფია და თავ-პირი ჩამოსტირის?? ნეტა, მაგ ოჯახს დასაქცევს ჩემს ვალსაც ხომ მაგას არა სთხოვენ, მაგრამ ბოლოს, როგორც მიამბო, ამაზედ უარესი დაჰმართია. ერთს ქვრივს, ობლების პატრონს, შევაჭრებია ერთის დღის მიწას. თურმე ნუ იტყვით, ქვრივს მცირეწლოვანების მამულის გაყიდვის ნება არ ჰქონია. ამ დროს გამოსჩენია ერთი ცნობილი ცრუ ვექილი, ვიღაც მატყუარა და დაუჯერებია, მე მოვგარიგებ და გაგიკეთებ საქმესაო. ახლა იმისთვის ჩაუჩხრიალებია ვაივაგლახით მიგროვებული ფული იმ იმედით, რომ ეგ არის მოვისვენებო.

მოდის ჩვენი ლევანა გლეხი პირ-მცინარე. ბიჭო, ლევანა, რა ქენ შენი საქმისა? რა ვქენი და გავაკეთე, ჩავაბარე აი ჩვენ იმას და უნდა დაამტკიცებინოს კიდეცა.

— ბიჭო, შვილო,—ეუბნება მოხუცი გამოცდილი კაცი:—გატყუებენ, შვილო, ნუ იღუპავ თავსა!

— რას ამბობ, გახსოვს მაგან რომ ფიდუას საქმე შეაყენებინა სუდში, მაგას რა გაუჭირდება, როგორ მომატყუებს!

გადის დრო, წლები. შემოუთვლის ქვრივი: ლევან, ერთი ორი თუმანიც გამომიგზავნე და სულ მექნება მიღებული ორმოც-და-ხუთი თუმანი. ლევანა როგორ ეტყვის უარსა?.. მიდის ლევანა თავის მხსნელთან, უვარდება მუხლებში: „ნუ დამღუპამ, ჩემო ღმერთო, გავიგე, იმ მამულს სხვა ყიდულობს და რა ვუშველო ჩემს საქმეს, მითხარ, შემიბრალე!..

ნუ გეშინიან, აი ახლა გორში მივდივარ და გაგითავებ, საქმესა; ამას, ხომ იცი, ფული უნდა! წადი შენ მოჰხან ის მამული, ფიქრი ნუ გაქვს!

ლევანმა გაიკრა ჯიბეს ხელი, ამოიღო წითელ ხელსახოცში გამოკრული ფული და მისცა. მოდის სიხარულითა; შეიტანა გუთანი და გადააგდებინა ნაფთევები; მოდის მოსავლის წელიწადიც; მოსდის უწყება ლევანას, როგორ შეგეძლო შენ სხვის მამულის მოხვნაო. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, შენ ლევანას ეს ნიკორა კამეჩი და ირმა ხარი ჩაირეკეს ტორგში გასაყიდად.

ამ გამოჩენილმა კაცმა ამ გლეხ-კაცს ქვრივის წყალობით სწოვა სისხლი, იმ დრომდე, სანამ ღონე-მიხდილი გლეხი მძიმე უღელქვეშ სასიკვდილოდ არ ჩაიჩოქებდა.

დადის დღეს ჩვენი ლევანა გულ-ხელ დაკრეფილი და, ვისაც შეხვდება, შველასა სთხოვს: მიშველეთ, ცოლ-შვილს ჩემის ხელით ყელი გამოვჭრა, ჩამაქვავეთ, თუ ქრისტიანები ხართ ვინმე! ვაიმე, შვილებო, რომ სამიც და ათი თუმანი ვალი თავზედ დაგატეხეთ!

ასე, ამ ნაირად გაუთავა ჩვენს ლევანას იმ გამოჩენილმა კაცმა საქმე! ამბობენ ბევრი ყოფილა ამნაირი მსხვერპლიო. ახლა ვიკითხოთ, როდემდის უნდა იაროს ამ ვაჟბატონმა ესე დაუსჯელად! ნუ-თუ ჩვენმა „დიდმა განათლებამ“ ამის ასალაგმად არაფერი არა დააწესა-რა?

მაგრამ, ეჰ, ჩვენ რა, რომ იმან უვიცი ხალხი ჰყვლიფოს; ჯანი გაჰვარდნიათ ლევანებსაცა და მრავალ იმისთანასაც! თუ გლეხ-კაცს სიკეთე რამ ეწერა ამ სოფლად, ხომ იმის გაჩენაში ღმერთიც გაერეოდა! მაშ, ვიღა იქნება იმის პატრონი, როცა იმასაც ხელი აუღია!?

* * *

მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ. ღირს-კი ამისთანა უბრალო რამეებზედ ლაპარაკი? რა დროს მაგეების ყურის გდებაა, როცა ღმერთს ერთი დღე მოუნიჭებია და უნდა ვიგემოთ სიამენი სოფლისანი, რაზედაც-კი ხელი მიგვიწვდება. ახლა არ ვიცი, ღმერთმანი, ისეთი რა ხელდახელ საგოგმანებელი ამბავი მოგითხრათ, რომ თავი არ შეგაწყინოთ. მაგრამ, რა გიყოთ, რომ საითაც წახვალ, საითაც გაიხედავ, ყველგან ასეთი საცოდაობა გეჩხირება თვალ-წინ. მინდა მიგითითოთ აიმ სოფელზედ, აგერ მტკვრის გაღმა რომ მდებარეობს: ჰხედავთ, რა მშვენიერებაა, რა დიდია მისი

სნოს სკოლა გადაკეთდეს ორ-კლასიანად; თუმცა სოფელი დიდი არა ვართო, არც თუ ქონებრივი ძალ-ღონე შეგვწევსო, მაგრამ უკანასკნელს პერანგებს გავიხდით და შვილების აღზრდისთვის-კი არაფერს დავზოგავთო, ბ-ნმა ინსპექტორმა აღუთქვა დახმარება და წინადადება მისცა ორ-კლასიან სკოლისათვის აეგოთ შენობა. სოფელმა იქვე ამოარჩია კომიტეტი და მიანდო ამ საქმისათვის ზრუნვა.

ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ სნოს მკვიდრნი უფრო მხურვალედ ეკიდებიან სკოლის და სწავლის საქმეს-მეთქი, ვიდრე სტეფან-წმინდისა. აქ ხალხს უფრო ძალ-ღონე შესწევს, ვიდრე სნოელებს. სნოელების სამაგალითო ქცევა სწავლა-განათლების საქმეში სწორედ საქებარია და მოსაწონი ყოველის მოხევისათვის. სნოს მასწავლებლის ერთს ოთახში მოთავსებულია წარსულის წლის უფასო სამკითხველო, სადაც უნაკლულოდ ინახება ყველა წიგნები და გამოცემები.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სტეფანწმინდის უფასო სამკითხველოზედ, მისს უზრუნველყოფილობაზედ ეს არ ითქმის. ბევრმა გამოცემამ ანუ წიგნმა გამოიარა სამკითხველოს კარები სტეფანწმინდაში, გამოეთხოვა თავის საცოდავს თანამოძმე წიგნაკებს და გამოცემებს, გამოემშვიდობა, რომ უკან აღარ დაბრუნებულიყო...

სნოელებმა სთხოვეს თავისს მასწავლებელს, ვაჟსაც და ქალსაც, რათა დარჩენილიყვნენ მასწავლებლად, თან აღუთქვეს ჯამაგირის მომატებაც, მაგრამ, რადგანაც ერთსაც და მეორესაც სურს უმაღლესის სწავლის განგრძობა, ორივემ უარი განაცხადეს.

6-ს თიბათვეს სნოელებმა თავი მოიყარეს თავის სკოლის დარბაზში და გაუმართეს თავისს ძვირფასს მასწავლებელს ერმოლოზ სირბილაძეს გამოსამშვიდობელი სადილი. „რა ვქნათ, ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო, ბევრის ხარჯების გამო სხვაფრივ დაჯილდოვება არ შეგვიძლიანო და ამაზედ უკაცრავად ნუ ვიქნებით“-ო, ეუბნებოდნენ სნოელები.

სადილმა გასტანა სალამოს ექვს საათამდის. მთელს სოფელს თავი მოეყარა. გალობდნენ და მხიარულობდნენ. როდესაც გამოეთხოვა ბ-ნი სირბილაძე ხალხს, სიმღერა და სიხარული უეცრად მოწაფეებმა ტირილად და ცრემლად შესცვალეს. ბავშვები სოფლის ბოლომდის ტირილით უკან მისდევდნენ. ამათს ტირილზედ ვერ შეიმაგრა მათ გულ-ჩვილმა მასწავლებელმა თავი და თვითონაც ცრემლები გადმოსცვივდა. ამითი დასრულდა ჩვენში გამოთხოვება.

კალმის-წვერა.

—

ქუთაისი. საპედაგოგო კურსები და სალიტერატურო საღამო სოფლის მასწავლებლებისა.

აგერ თვე-ნახევარი გადის, რაც ქუთაისში საპედაგოგო კურსებზედ მოწვეულნი არიან ქუთაისის გუბ. სოფლის მასწავლებელნი. როგორც ყოველგვარს თავყრილობას, რაიმე თეორეტიულ, ანუ პრაქტიკულ საგნების გამოსარკვევლად მოწვეულს,—დღევანდელს პედაგოგიურს კურსებსაც ერთხელვე გარკვეული აზრი აქვს. ეს აზრია სოფლის მასწავლებლებისათვის საპედაგოგო საგნების გარკვევა, ცოდნა-გამოცდილების შეძენა და საზოგადოდ ქალაქელ გამოცდილ პედაგოგებთან ერთად მეცნიერების თვალ-ყურის დევნება. რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის და ყოველისფერში, ამ შემთხვევაშიაც ქალაქები ხელმძღვანელობას უწევენ სოფლელებს და იწვევენ ხოლმე ამ უკანასკნელთ ცოდნა-გამოცდილების გადასაცემად. თქმა არ უნდა ასეთი მოწვევა იმდენად გულს ხვდება, რამდენადაც იგი წრფელის გულით სრულდება და მასპინძლები გულუხვნი და დახელოვნებულნი არიან თავიანთ საქმეში. თქმა არ უნდა იმასაც, რომ ქუთაისში ამგვარი კურსები ისეთის ინტერესით ვერ სწარმოებენ, როგორც დიდრონ, სატახტო ქალაქებში, სადაც სოფლიდგან მოწვეულთ დიდ-ძალი მასალა ეძლევათ, როგორც თვით კურსებზედ ხელმძღვანელთაგან, ისე იქაურ განვითარებულ ცხოვრებისაგან, რომლის გაცნობას კურსელები არა თუ ერთსა და ორს თვეს, ორ წელიწადსაც თუ აუვლენ. ქუთაისი ამ მხრივ ძალიან ცოტა მასალას იძლევა სტუმრებისათვისაც-კი და მაშ დარჩენილა ეს ნაკლი ხელმძღვანელებმა შეავსონ. მაგრამ რამდენად მათგან ეს ნაკლი დაახლოვებით მაინც სრულდება,—ამაზე ლაპარაკი თვით საქმის სათავეში, ან მისს მახლობლად მდგომთათვის მიგვინდვია.

სოფლის დღევანდელ სტუმრებზე რომ ვილაპარაკოთ, სახეში, რასაკვირველია, მასწავლებლები გვყავს, რომელთაც განათლებულთა ენაზე „სოფლის განათლების პიონერებს“ უწოდებენ. ისინი ერთ დროს ქალაქებში განსწავლულნი, იმის ინტერესებით ნაცხოვრნი, დღეს სოფლებში გაბნეულან და შეძლებისა დაგვარად ნათელს ჰფენენ „სიბნელის სამეფოს„ (темное царство). რა თქმა უნდა, სოფლის ამ პიონერებს იაფად არ უჯდებათ თავისის მოვალეობის დაახლოებით მაინც პირნათლად შესრულება და ეს არც საკვირველია იმათთვის, ვინც მათი კერძო, ნივთიერად ხელმოკლეობის და გარშემო ზნეობრივად ხელ-შეუწყობლობის ამბავი იცის. ამ მხრივ მათი მომეტებული ნაწილი ბევრისაგან ბევრს ითმენს სოფლის ეკლიან გზის გაზომვა-გაკაფვაში და ამისათვის მათ მადლიერი ძვირად თუ ვინმე ჰყავთ.

აი სოფლის ამ პიონერთ დღეს, უთმცა დავიანებული, მაგრამ მცირედი ყურადღება მაინც მიაპყრეს, მათ ნივთიერ და გონებრივ ინტერესებისათვის მზრუნველობას შეუდგნენ მათთან შედარებით განცხრომაში მყოფი ქალაქელები. ეს მზრუნველობა დღეს სამრევლო სკოლების მასწავლებლებისათვის (რასაკვირველია, არა ყველასათვის) ჯამაგირების დანიშვნასა და ზაფხულობით კურსებზე მიწვევაში იხატება. წელსაც, მგზავსად წარსულის წლებისა, რიცხვით ასამდე კაცი იყვნენ მოწვეულნი ქუთაისის გუბ. შვიდისავე მაზრიდგან და თვე-ნახევრის განმავლობაში საეპარქიო და სამაზრო მეთვალყურეების ხელმძღვანელობით სწრთვნიდნენ მათ მასწავლებლობაში. წრევანდელ წლის ამ წრთვნის შედეგზე ლაპარაკს ჩვენ აქ არ გამოვუდგებით. ესეც თვით კურსებზედ მონაწილეობის მიმღებთათვის მიგვინდვია.*)

ერთი, ყველასთვის თვალსაჩინო ნაკლი კურსებისა მათი დიდხნობით გაგძელება, 7—8 თვეს ნაშრომ მასწავლებლების თითო და ორ-ორის თვეობით ამ სიცხეებში დაღლა-მოქანცვაა. ამ გვარად მათ დასასვენებელი დრო ძალიან ცოტა-ღა რჩებათ და ნამაცადინენი ენკენისვეთში ისევ სამაცადინოდ უნდა წავიდნენ. წრევანდელი კურსებიც ამ მხრივ კოჭლობდა. საპედაგოგო საგნის გასარკვევად და გამოცდილების მისაღებად ჩამოსულნი უმეტეს დროს ამ თვე-ნახევრის მაცადინობაში წირვა-ლოცვაზე სიარულსა, „მამაო ჩვენოს, ღირსაარს ჭეშმარიტის“ და იოანე ოქროპირის წირვის წესების გალობას ანდომებდნენ. საპედაგოგო თეორეტიულ და პრაქტიკულ საკითხების გარკვევას მცირედი დრო ეთმობოდა. პირველის დაღლილობის შემდეგ, ამაებში მიდიოდა მუდამ დღე 8—9 საათი და ამას ზედ ერთოდა არქიელის გორაზე სასწავლებელში სიარულიც ორ-ორჯერ დღეში.

არ ემადლიერებოდნენ წრევანდელ კურსების მონაწილენი აგრეთვე სამეურნეო ლექციების მკითხველთაც რუსულად ლექციების კითხვის გამო. როგორც ვიცით, უმეტესი ნაწილი სამრევლო სკოლების მასწავლებლებისა დღეს-დღეობით სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლებიდგან არიან და საკვირველიც არაა, რომ ისინი მაგრე რიგად არ იყვნენ რუსულის ცოდნაში დახელოვნებულნი და სამეურნეო ტერმინების ცოდნაში მით უფრო. მათთვის პრაქტიკულად საჭიროა, თუ ცოტა რამ საყველპუროდ ეცოდინებათ მეურნეობისა. ეს მათი სამართლიანი მოთხოვნილებაა და მისი არ დაკმაყოფილება საქმის „ჩინოვნიკურის“ თვალით ყურებას ჰნიშნავს: მე-კი წავიკითხავ ლექციას და გაიგებენ თუ არა, ეს რა ჩემი საქმეაო. აგრონომ-ლექტორები ამ შემთხვევაში თავს, თურმე, იმით იმართლებდნენ, რომ ქართულ ენაზე სამეურნეო ტერმინები არ გვაქვს შემუშავებული და ამისათვის ძნელია ქართულად ლექციების კითხვაო, თუმცა ტერმინების უქონლობის გარდა, სხვა გასაჭირიც ბევრი ელობება წინ ამ გვარ მოთხოვნილებებს დღეს ჩვენში. ჩვენის სპეციალისტების თავის მართლებაც ყურადღების ღირსია მარტო იმითაც, რომ მუდამ ამით თავის მართლება მოუხერხებლობის გარდა, შეუძლებელიცაა. ამ ერთის თვის წინად თავად-აზნაურთა კრებაზედაც მიაქციეს ყურადღება, აქაურს სამეურნეო სკოლაში საგნებს ქართულად არ ასწავლიან და ჩვენს მომავალს აგრონომებს ქართულად „горохъ, петрушка“-ს და მისთანათა სახელებიც-კი არ ეცოდინებათო. ამისთვის რაიმე ვიღონოთ, დავავალოთ იქაურ მასწავლებლებს საგნები ქართულად ასწავლონო და ამ საქმისათვის, ბანკიდგან ფულის მიღების იმედი რომ ჰქონოდათ, ცალკე წვლილის გადებას აპირებდნენ. რასაკვირველია, თუ-კი სკოლაში შეგირდებს არ ასწავლიან, თუნდაც ქართულ ტერმინებს, ერთისა და ორის კვირით მოწვეული სტუმრები (სოფლის მასწავლებლები) იქ რადას დაისწავლიან! ლექტორებისა და მასწავლებლების ერთი მეორის გაუგებრობას უნდა მივაწეროთ ისიც, რომ როდესაც ერთი მათგანი მიწათ-მოქმედებაზე ლექციების კითხვის დროს დედა-მიწის წარმოშობის გეოლოგიურ ხანებს შეეხო და სთქვა, რომ მისს (დედა-მიწის) გაჩენას რამდენიმე ასი და ასი ათასი წელი მოუნდაო, ანაფორიანი მსმენელი გაოცებული შეეკითხა: როგორ თუ ასი ათასი წელი? ბიბლიის თქმით, სულ ორი ათასი წელია, რაც დედა-მიწა გაჩნდა და თქვენ-კი რას გვეუბნებითო?!

(დასასრული იქნება)

---

*) დღემდე გაზეთებში ყოველთვის შეხვდებოდით ამ გვარ კურსების ანგარიშს. დღეს-კი ეს როლი ქუთაისიდგან არც ერთ გაზეთისათვის, არავის უკისრია და მიზეზი ამისა, როგორც გავიგეთ, კარგთან ავის თქმის და ნაკლულევანების გამოქვეყნების შიში თურმე იყო. როდის მოვესწრებით, რომ ყოველ ჩვენებურ საქმეებში თანდაყოლილი სენი ყოველივე ნაკლულევანებათა მიჩქმალვისა მოისპოს?!.

ავტ.

—

ს. კარდანახი (სიღნ. მაზრა.) ჩვენს საქალებო სამრევლო სკოლაში აქტი ივლისის ორში იყო, თუმცა სწავლა და ეგზამენი ყმაწვილებს გაუთავდათ მაისში. მოსწავლე ქალებს გამოეცხადათ, ვინ გაათავა კურსი, ვინ გადავიდა შემდეგ განყოფილებაში; დაურიგდათ საჩუქრები იმ მოწაფეთ, ვინც ყოფა-ქცევით და სწავლით თავი ისახელა წლის განმავლობაში. შემდეგ მასწავლებელ ქალმა და სკოლის საპატიო მზრუნველმა, ქნ. ნ. ა. ზოგიერთი დარიგება მისცეს ქალებს და აქტიც გათავდა: ყველანი დაიშალნენ.

წელს ცამეტმა ქალმა გაათავა კურსი. როგორც ცნობილია, სკოლაში ხელსაქმესაც ასწავლიან. აქაურ ქალების ნამუშავარი შარშან სამეურნეო გამოფენაზედ მოიწონა საექსპერტო კომისიამ და დააჯილდოვა პირველ ხარისხი ვერცხლის მედლით. სკოლა სამი წელიწადია, რაც დაარსდა, (ორი განყოფილება გაიხსნა პირველიდგანვე) მაგრამ ისე თავ-გამოდებით და მეცადინეობით ემსახურება იგი თავისს დანიშნულებას, რომ ამ მოკლე ხანში ყველგან თავი ისახელა. ჩვენი სოფლების ყურადღება მიზიდულია მისკენ და გამხდარა იგი ყველასათვის რაღაც სანუგეშო დაწესებულებად.

აქ ნამყოფი ქალები ზოგიერთნი სხვაგან გადავიდნენ სწავლის გასავრცელებლად. ამათგან უმეტესი ნაწილი ქალისა წმიდა ნინოს სკოლაში სწავლობს. სასურველია, რომ ეს სკოლა შემდეგისათვის უკეთესად მოეწყოს, რომ თვითონ სკოლის შენობაც ხელს უწყობდეს მოსწავლეთა რიცხვის მატებას. ყოველ წელიწადს მოთხოვნილი ბევრია, მაგრამ უადგილობისა გამო შეუძლებელად ხდება ყველას სურვილის დაკმაყოფილება, ამისათვის ბევრი რჩება მიუღებელი. ეს ორი წელიწადია, რაც საკუთარ სკოლის შენობის შეძენის თადარიგს შეუდგნენ. ამ საქმის ხელმძღვანელნი, იღწვიან, მაგრამ ჯერაც ვერას გახდნენ. უნდოდათ კერძო შეწირულობისათვის მიემართნათ, რადგანაც სხვა წყარო არსად სჩანდა, მიჰმართეს კიდეც, მაგრამ შემოწირულობათა ჯამი მცირე იყო.

წელს ამ გაზაფხულზედ სკოლა ინახულა საეპარქიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურემ დ. ვასტორგოვმა ალავერდის ეპისკოპოზთან ერთად. მათ თან ახლდათ წმიდა ნინოს მონასტრის იღუმენია. ვასტორგოვმა აღუთქვა, რომ საეპარქიო ფულიდგან ას ორმოცი თუმანი იქნება გადადებული კარდანახის სამრევლო სკოლის შენობისათვისაო. ამ ფულით და იმ შეწირულობით, რაც აქ შედგება, იმედია, რიგიანი შენობა გაკეთდეს სკოლისათვის. ხელსაქმის მასწავლებელ ქალს ექვსი თუმანი აქვს დანიშნული წელიწადში, მაგრამ ეს სასყიდელი მეტად მცირეა. საჭიროა, რამე საშუალება გამოინახოს ამ ნაკლის შესავსებლად და ხელსაქმის მასწავლებელ ქალსაც ეძლეოდეს შრომის შესაფერი ფასი. სოფლად საქალებო სკოლებში ხელ-საქმის სწავლება აუცილებელი საჭიროებაა და ამასთანავე უნდა შეადგენდეს იგეთსავე საყურადღებო და უმთავრესს საგანს, როგორსაც შეადგენენ სხვა სასწავლო საგნები.

დ. ბ.

—

გუბი-წყლის ქვემო მხარედგან

დიდი-ჯიხაიშის ქსენონის კომიტეტის წევრთა კრება და მისი ახალი დადგენილება.—თეატრი ანუ სახალხო სახლი დიდი საჭირო მოთხოვნილებაა ს. დიდ-ჯიხაიშში.—სამიკიტნოთა რიცხვის თან-და-თანობითი ზრდა.—მთვრალობა და მისი საზიზღარი შედეგი. — ამინდები. — ცხენისწყლის არხი.

რადგან საუბედუროდ არც ერთი ახალი დაწესებულება ისე ფეხს ვერ მოიდგამს ჩვენში, რომ მას დასაწყისში რაიმე დამაბრკოლებელი ხიფათები არ შემთხვიოს. დიდი-ჯიხაიშის ქსენონსაც, როგორც ახალი დაწესებულებას, ამას ვერ ასცდა.

დიდი-ჯიხაიშის ქსენონს ინახავს 1500 კომლი მცხოვრები (გლეხობა, სამღვდელოება და თავად-აზნაურობაა). თავად-აზნაურობა და სამღვდელოება ყოველ წლივ კომლიურად 4 მ. იხდის და გლეხი-კი 2 მ. 70 კ. ექიმი და წამალი ყველასთვის უფასოა. როგორც ჰხედავთ, საქმე კეთილი და პატიოსანია და კარგათაც უნდა მიდიოდეს, მაგრამ გარემოებამ სულ სხვა მოიტანა.

ოთხშაბათს, 16 ივლისს, ადგილობრივის ექიმის ბ. ი. გომართელის თხოვნით და ბ. ქ. დ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით მოხდა დიდი-ჯიხაიშის ქსენონის კომიტეტის წევრთა კრება, რომელსაც ბ-ნ ექიმმა განუცხადა: ჯერ ხუთი თვეც არ არის, რაც ქსენონი რიგიანად სწარმოებს, და ქსენონში 3,040-დე ავადმყოფი მოსულა (დაარსებიდგან 7500 რეცეპტი გასულა); ყოველ დღე, საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ, იმას გარდა, რომ სოფელში ავადმყოფები უნდა ვნახო, ქსენონში წამლის გასაზიდავათ 60 კაცი მოდის; ქსენონში წამალი ძალიან ცოტაა, ასე თუ საქმე გასტანა, წლიურად დანიშნული წამლის ფული (800 მ.) ექვს თვესაც არ იკმარებსო. ჩემის დაკვირვებით, ქსენონში რაც ხალხი მოდის, ნახევარიც ავად არ არის და წამალს-კი თხოულობენ. ამას ის ცუდი შედეგი მოსდევს, რომ სანამ კარგად მყოფს კაცს გავსინჯავდე და მისს ვინაობას გავიგებდე, დრო მეკარგება და სერიოზულად ავადმყოფები უნახავი მრჩებიან. საჭიროა, ავადმყოფის სანახავი გადასახადი დავადგინოთ; ამას ნურავინ იფიქრებს, ვითომც ჩვენ ხალხის შევიწროვება გვინდოდეს და მე ან აქაურ ფერშლებს მუშაობა გვეძნელებოდეს, არა, ეს ქსენონიდგან წამლის უბრალოდ მზიდველების შემაჩერებელი საშუალება იქნებაო“.

კომიტეტის წევრებმა ექიმის რჩევა სასიხარულოთ მიიღეს და დაადგინეს: მოაკლდეს საკომლო წლიურ გადასახადს 70 კაპ. და იხადოს ქსენონში მოსულმა ავადმყოფმა, თითომ—25 კაპ., გარდა იმ ავადმყოფისა, ვისაც გამეორებითი რეცეპტი ეძლევა.

რამდენიც დრო გადის, იმდენად სოფელიც განათლებით წინ მიდის. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს სოფელი თეატრსაც თხოულობს. აგერ ხუთი თუ ექვსი წელიწადი სრულდება, რაც ს. დიდ-ჯიხაიშში წარმოდგენები იმართება და ყოველთვის წარმოდგენებს ხალხი ბლომად ესწრება, არა მარტო დიდ-ჯიხაიშიდგან, არამედ სხვა მახლობელ სოფლებიდგანაც. საჭიროა აქ თეატრი ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სახალხო სახლი, სადაც სამკითხველოც შეგვეძლოს მოვათავსოთ, მით უმეტეს, რომ ამ საგნისათვის სახლი აქ უკვე მომზადებულია. ამას ძალიან ნათლად გვაჩვენებს წრევანდელი აქაური წარმოდგენა, რასაც ხალხი ისე ბლომად დაესწრო, რომ უადგილობის გამო ბევრი შინისკენ დაბრუნდა. არ ვფიქრობ, ადგილობრივმა შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ ამ საკეთილო საქმეს ცოტაოდენი შეწევნა მაინც არ აღმოუჩინოს. ადგილობრივ ინტელიგენტთა შორის სახალხო სახლის აშენების შესახებ კითხვა უკვე აძრულია. ვნახოთ, რას მოგვიტანს შედეგი.

—

კარგა ხანია ვენახებმა თავი დაგვიკრეს და იმედი გაგვიცრუეს. ღვინის ვაჭრებმა იღროვეს და სამიკიტნოები გამართეს. ექვსის საზოგადოებაში 11-მდე დუქანია და მათ შორის რვა სამიკიტნო. თვით დიდ-ჯიხაიში 15—16-მდე სამიკიტნოს დაითვლით! ერთი სიტყვით, სამიკიტნოთა რიცხვი თან-და-თან მატულობს, მაგრამ ღვინის ფასი-კი არ კლებულობს. ხალხი ეჩვევა ღოთობას, რასაც, რასა თქმა უნდა, ხშირად ჩხუბი, კაცის ჭრა მოსდევს. ოთხშაბათს, 16 ივლისს, დიდ-ჯიხაიშში სამი კაცი დაიჭრა და კაციც მოკვდებოდა, რომ ბლომად ხალხი არ ყოფილიყო და ღვინით გაბრიანტებული, ხმალ-ამოღებული კაცი არ დაეკავებინათ.

—

აქ ამ ბოლოს დროს კარგი ამინდებია. ჟუჟუნა წვიმა ყანებს ძალიან მოუხდა. ცხენის წყლიდამ გამოყვანილი არხი რვა სოფლის (ნახახულევის, მათხოჯის, დ. ხონის, კუხის, გუბის, პატარა-ჯიხაიშის, დიდ-ჯიხაიშის, იანეთის) ყანების რწყვას ძალიან ხელს უწყობს, მეტადრე გვალვის დროს.

ბარნაბა გელა.

რუსეთი

ამ დღეებში ზოგიერთი სატახტო გაზეთი იუწყებოდა, ვითომც უმაღლესს მთავრობას საგუბერნიო ერობათა გაუქმება განუზრახავს. ეხლა, „Нов. Врем.“-ის სარწმუნო წყაროებიდგან შეუტყვია, რომ ეს ხმები მოკლებულია ყოველს სიმართლესაო.

—

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს დაუმტკიცებია ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის „ზვარი“-ს წესდება.

—

ერთს სატახტო გაზეთში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ლ. დობროვოლსკისა: „დიდი ბედი რუსეთისა მომავალში“. მოგვყავს ეს წერილი.

„რუსეთის ცხოვრება ბევრად უფრო ღარიბი და სამძიმოა სხვებისაზედ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევთ ბუნებისა და ჰავის პირობებს, რომელშიც ბედმა ჩააგდო ჩვენი ქვეყანა. ჩვენ სწორედ მონურად ვბაძავთ და უნიჭოდ გადმოგვაქვს სხვა სახელმწიფოებიდგან ყველაფერი; სრულებით უყურადღებოდ ვტოვებთ ჩვენის ქვეყნის სპეციალურს განსხვავებას: დიდსა და ცივს ზამთარს, თვალ გადუწვდენელს ტყე-ველსა და განკერძოებულს გეოგრაფიულს მდებარეობას. მრავალი მდინარე ჩამოგვიდის, მაგრამ იგინი ჯერ ერთი, რომ დიდ ხნობით არიან ხოლმე გაყინულნი, მეორეც ისა, რომ მათი უმეტესი ნაწილი ყინულოვანს ზღვას ერთვის და ჩვენთვის თითქმის არავითარი სარგებლობა არ

ბუნება, თითქოს იქ, იმ სოფლად, ანგელოზთა საცხოვრებელია დამყარებულიო. მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, იქაც კაცის ჩამყლაპავი ორფეხა ვეშაპები სცხოვრებენ. ამას მოუბნობს კაცი და ქალი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა. იმათგან კაცის გამოხვრის ამბავი საზღაპროდაც-კი გარდაქცეულა და, ვინ იცის, ამათ გმირობას რამდენი თაობა მოიგონებს კიდევ. განა, რომელი გმირი იქმს ამ დაუვიწყარ საქმეს, რომ შეგაგულიანოს მეზობელზედ, გაჩივლოს, შენი საქმე ამ გმირმა აიღოს დასაცველად, მიდიოდეს, შენ მოქიშპესაც ჰპირდებოდეს, საქმეს მოგაგებინებო; ერთისგანაც იღებდეს „სახარჯო ფულს“ და მეორესაც ცოლ-შვილს აგირავებინებდეს.

— „ბიჭო, შე ოხერო, თავი სადა გქონდა, ჭკუა სად დაგებნა, როგორ ვერ ხედავდი მაგის სიცუღლუტეს, ვერ ატყობდი, რომ გატყუებდა!

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ჩვენი ბატონის შვილია, ჩემი უფროსი გოგოც მაგისი და მაგის ცოლის მონათლულია, მაგათი ყმები ვართ, მაგათ სახლში გავიზარდენით და განა, მოვიფიქრებდი, რომ ესე ყელს გამომჭრიდა?!

— მაშ, ახლა, აბა, რასა იქ, სულ ტყუილიღაა ჩივილი.

— რა უნდა ვქნა, შენ გენაცვალე, წავალ და იმის კარებზედ თავს მოვიკლამ. სხვა აღარა დამრჩენია-რა; გუშინაც გახლდი იმასთანა, ვეხვეწე, ამ ვენახს ჯანი გავარდეს, ის ვექსილი მაინც დამიხიე, რაც მე თქვენთვის უნდა მომერთმია-მეთქი. რაც მოგართვით ის ალალი იყოს, ახლა სხვა ღონე აღარა მაქვს, რომ გადაგიხადოთ ეგ სამ თუმან ნახევარი-მეთქი, მაგრამ იმ ურჯულოს ვერაფერი შევასმინე. ასე მითხრა, რა ჩემი ბრალიაო, რაღაც ზაკონი გამოიცვალა და იმან დაგღუპაო; ჩემი საქმისთვის ამ ზაკონს სხვანაირად შეუხედნია.

— ეგ არაფერი, შენი ჭირიმე, იმ ჩემი ბიჭისა უფრო მეფიქრება; აგერ ეს სამი დღეა წევს ვენახში თოფითა და ამბობს, ვინც შემოვა აქ მოვკლამო. დადის გამგელებული, უნდა კაკოლა მოვკლაო; არ ვიცი, რა წყალს მივცე და როგორ ავიცდინო ეს უბედურობა თავიდგან.

ასე და ამ ნაირად, ოდესმე ერთმანეთის ჭირის მჭამელი მეზობლები ახლა მოსისხლე მტრებად გადაქცეულან.

ნიკას დედა, მაია, დასდევს გიჟივით თმაგაწეწილი თავის შვილს და ეხვეწება: შვილო, ნუ გეერევი კაცის კვლაში, ეგრემც გენაცვალოს დედა; რა ვქნათ, შვილო, მე რომ მოვედი მამიშენის სახლში, ერთი ღამის ვახშამი არა გვქონდა. რაც დღეს დავკარგეთ, შვილო, ჩვენი ოფლით იყო შეძენილი, ქვეყანა დიდია, შვილო, მივდგეთ-მოვდგეთ და იქნებ მშივრები არ დავწყდეთ.

ამ სიტყვებით აძლევს იმედს დედა მაია თავის უფროს შვილს ნიკას. ნიკა-კი გაიძახის: სისხლს დავაქცევ, სისხლსაო!

ვინ იცის, რა უბედურობა მოსდევს ამ საქმეს! მერე ვისი წყალობით? ისევ იმის წყალობით, ვიზედაც მოუბნობს კაცი და ქალი, დაწყებული მცხეთიდგან გორამდის. ამ ვაჟბატონის ხელობა თურმე ესა ყოფილა. ამითი სჭამს ლუკმა პურს. ერთის მხრივ-კი მართალია: კაცმა, რომელმაც დაჰკარგა ყოველივე და, თუ რამე შერჩა, ყოველივე დუქნებში ჩააბნია, რომელიც სახლიდგანაც-კი გამოაბრძანეს მოვახშეებმა, მაშ, არავიზედ ამოიყაროს ჯავრი?! ამ გმირისგან მეტს რას მოელოდეს კაცი! აფსუს გიმნაზია, საცა ამ თავ-ლაფიანმა შეისწავლა წერა-კითხვა! ვინ იცის ამ წერა-კითხვის წყალობით რამდენი კაცი დაიღუპა, მაშინ, როცა ჩვენ კაბინეტში ვისხედით და მარქსის გასამდიდრებელ რეცეპტებსა ვკითხულობდით. სანამ ჩვენ ამ რეცეპტებით წამალს მოვამზადებდეთ, ჩვენს გლეხს სული ამოხდება უპატრონოდ.

ვინ უშველის მათ ბედშაობას, ვინ დააგდებინებს ამ მშიერს მგლებს ჩვენს გლეხს პირიდგან? აბა, ჩვენო იურისტებო, უწამლეთ რამე ამ ხალხს.

ყველა ეს ჩვენი ქაღალზედ დაწერილი მაღალ ფარდის აზრები მათთვის ცოტათია სანუგეშო, სიტყვა უსაქმოდ მკვდარია. მაგრამ, საქმეს ხომ მეტი გარჯა უნდა და გარჯას შეწუხებაც მოსდევს. განა, ვისთვის უნდა შეწუხდეს კაცი? ჩვენის გლეხისთვის?! აფსუს! თავშიამც ქვა უხლიათ, როგორც უნდა მოუარონ თავსა! დაე, თუნდ სამართებელსაც ახალონ მუცელი, მაგრამ ამას-კი გთხოვთ, ყოველივე აქ მოხსენებული ამბავი ზღაპარი ნუ გეგონებათ.

სოფლელი.

მოაქვს. გვაქვს რკინის გზები, მაგრამ დიდი ხარჯების გამო ჯეროვანი სარგებლობა ვერ მოაქვს, მათი ექსპლოატაცია ძვირადაც ჯდება და თვით ქვეყნისათვისაც მეტად საზარალოა, რადგან დიდძალ ხე-ტყეს სპობს და ჰაერიც ფუჭდება.

ჩვენ აუარებელი სახნავ-სათესი ადგილი გვაქვს, მაგრამ სიცივისა და გვალვის გამო მეტად მცირე მოსავალს იძლევა; გვაქვს თვალუწვდენელი საბალახოები, მაგრამ იმავ სიცივის გამო მთელის წლობით ვერ ვსარგებლობთ და ამიტომაც საქონლის მოშენებას ვერ ვეწყობით. მაშ ვეცადოთ და ის მაინც გამოვიყენოთ, რაც მსოფლიო შემომქმედს მოუცია ჩვენთვის; მაშინ ჩვენი ცხოვრებაც გაიაფდება, მისვლა-მოსვლაც ერთი-ორად გაგვიადვილდება, სიმდიდრესაც შევიძენთ და ბედნიერებასაც მოვიპოვებთ.

მაგ., ჩრდილოეთიდგან ჰქრის სასტიკი ქარები; რატომ არ ვცდილობთ, რომ იმის ძალით ვისარგებლოთ? მოვაწყოთ მანქანები ელექტრონის ენერგიის შესამუშავებლად, გავაბათ მავთულები და ეს ენერგია მივაწოდოთ უფრო მჭიდროდ დასახლებულს ადგილებს; განა, შესამჩნევად არ გაადვილდება მისვლა-მოსვლა, არ გაიაფდება სახლების განათება და გათბობა?

ჩრდილოეთ რუსეთში მრავალი მდინარეებია, რომელთაც ჩვენთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ, რადგან ჰორმების გამო, მათზე ნაოსნობა არ ხერხდება; განა არ შეიძლება, რომ მოხერხებულ ადგილებში შევაგუბოთ ეს მდინარენი, მოვაწყოთ მანქანები და ელექტრონის ენერგია მოვიპოვოთ? მარტო ანგარის, ამურის, ენისეის და ირტიშის ძალა იმდენს ელექტრონის ენერგიას მოგვცემს, რომ არამც თუ მარტო ციმბირ-ურალის გზებს, ქარხნებს და გემებს ეყოფა, არამედ მთელს მსოფლიოს გავანათებთ და ავამოძრავებთ. შიდა რუსეთშიაც ბევრია ასეთი მდინარე და რასაკვირველია, მათ შესახებაც ის უნდა ვსთქვათ, რაც ჩრდილოეთის მდინარეებზედ.

აი, სწორედ ამ აზრის განხორციელებას უნდა შეუდგეს რუსეთი, თუ უნდა, რომ აღებ-მიცემობა და მრეწველობაც აღორძინდეს და ხალხის კეთილ-დღეობაც გაუმჯობესდეს! თუ-კი ჰოლანდიამ შესძლო და ზღვას წაართვა ადგილები, ჩვენ რატომ ვერ უნდა მოვახერხოთ ასეთი უბრალო საქმის განხორციელება!“

სხვა-და-სხვა წერილები

ზოგი რამ ვანის ლურსმულ წარწერათა შესახებ.

„ივერიის“ გუშინწინდელ №-ში დაიბეჭდა სოფ. როდინაულიდგან მოწერილი ამბავი, რომელშიაც მოხსენებულია გვარი ლუტიძე.

ლუტიძე..., მაშასადამე ყოფილა სახელი ლუტი. ვანის ლურსმულ წარწერებში მოხსენებულია ქალდეველთა (ქალდეველი=ქართველი?) მეფე ლუტიბრი ანუ ლუტიპრი, სხვაგან კიდევ სიტყვა ლუტუ.

საბას ლექსიკონში განმარტებულია: „**ლუტი**, კაცი უსახლკარო და უქონელი“.

ჩვენს დაბა-სოფლებში, მეტადრე სვანეთ-სამეგრელოში, სიტყვა ლუტი „უსახლკარო, უქონელს“ გარდა, სხვა მნიშვნელობითაც ხომ არ იხმარება? სახელი ლუტი ანუ ლუტიბრი (ლუტიბერი?) სადმე ხომ არ დაშთენილა დღესამდე?

მეფის არგისტის და სხვ. წარწერებში გვხვდება ფრაზები და სიტყვები:

ა. „არგიშტიშე ზადუნი“. მეცნიერების თარგმანი: „Аргисти устроилъ“.

„ზადუნი“ ჩვენ მიგვაჩნია აორისტიულ ფორმად მეგრულ ზმნის **ზადუა**, რომელიც უდრის ქართულს მზადება (ვამზადენ, ამზადენ, ამზადნა, მზადნი, ნამზადნი). და ფრაზას „ქალდინნი არგიშტიშე ზადუნი“ ჩვენ ვთარგმნით: «ქალდინნი არგისტის(აგან) ნამზადნი».

ვთხოვთ პატივცემულ დ. ხოშტარიას მოგვაწოდოს ზადუა-ს ნაირ-ნაირი მიმოხვრა. ზადუ-ნი ხომ არ ნიშნავს: «რომ მოამზადა».

ბ. „ნუ ნაბი“. სთარგმნიან: „я напалъ“ ესეთი თარგმნა თვით მეცნიერთაც მტკიცედ არა სწამთ. ფრაზაში, რომელშიაც იხმარება **ნაბი**, ეს სიტყვა უნდა ნიშნავდეს არა ნაბის (განაბა-გაბუშებას), არამედ ბრძოლის გამომხატველ ცნებას.

სვანური **ნა** და **გუ** უდრის ქართულს **გვა**=ძველს **გუა**. ამიტომ ხსენებულ ფრაზას ჩვენ ვთარგმნით ასრე: „ნუ გვაბი“.

კიდევ სხვა მნიშვნელობით ხომ არ იხმარება ხსენებული ფრაზა, ან რამდენად შეესაბამება გვაბი ნაბი-ს?

გ. „არუნი ქალდიშე“ სთარგმნიან „Приветъ богъ Халди“.

სახელი ქალდ წარწერებში გვხვდება სხვა-და-სხვა დაბოლოებით: ქალდი, ქალდიე, ქალდინი, ქალდიშე, ქალდიენი, ქალდინას და სხ. ამ დაბოლოებათ უმეტეს ნაწილად უყურადღებოდ სტოვებენ და სახელობით ბრუნვის მნიშვნელობით სთარგმნიან. დიდი შეცდომაა.

„ქალდიშე“ „богъ Халди“-ად კი არ უნდა ითარგმნოს, არამედ **ქალდისა(გან)**, ვინაითგან მეგრული ქალდიშე უდრის საზოგადოს ქალდისა-(გან). ამიტომაც ფრაზა „არუნი ქალდიშე“ უნდა ითარგმნოს ასრე: „არონი (რონინება) ქალდისაგან“ (უ=ო: უფალი=ოფალი).

„ქალდინილი“-ს სთარგმნიან ასრე: Мѣсто Халди“. **ლი** ნიშნავს ცნებას „Мѣсто“-ო. შეცდომაა.

ლი ყველგან ვნებით ზმნის მიმღეობის დაბოლოებაა და ქალდინილი იგივე **ქალდინულია**, ვინაითგან **ილი** და **ული** არ განირჩევიან: წერილი=წერული, დაბეჭდილი=დაბეჭდული, ქმნილი=ქმნული.

„ქალდინ“ ძველებური ნათესაობით ბრუნვის ერთი სახეა (ჩემთვინ=ჩემთვის და დღესაც იხმარება სვანურში (დევ-ნ მაცდუნი=დევის მეშინის).

მაშასადამე, ქალდინილი=ქალდინული=ქალდოსული, ე. ი. რამე, რომელიც ეკუთვნის ანუ ჰკუთნების ღმერთს ქალდს.

სვანური ლი=ქართ. არი, ა=მეგრ. რე, მული=მამა-ა=მუმა-რე).

დ. „ქუთუბი“, სთარგმნიან: „я вывелъ“, „я отдѣлилъ“.

ჩვენ-კი გვგონია, რომ **ქუთუბი** არის მეგრული ქათუბი და უნდა ითარგმნოს ასრე: „შევყენე“.

—

რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები:

ალუშე (ულიშე) ტულიე, პიტულიე (საბას ლექსიკონში: „პტული, პირველი ნაყოფი“), ულუ (ულუ-უშტაბი), ხაუბი (ქაუბი), ხაუნი, იუ, მეი, პიი (=„ვეპვ“ მეგრულად, პიინი?), ბადი ანუ რაბიდი, ბადუსიე (სთარგმნიან: დანგრეული; „პიდიიშ ტუალი (თუალი!) ქალდინილი ბადუსიე“), ამაშტუბი, იპტუუნი, ინი (სთარგმნიან „этотъ“; მეგრულთან სწორეა), სიპრუგინი (სიფრო გინი?), შელუნიე.

მ. ჯ.

„ივერიის“ ფოსტა:

ს. ბუჩქნერს. თქვენი ლექსი „ნიკოლოზ ბარათაშვილს“ და „მესტვირე“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

25 ივლისი.

კილი. პრინცი ჰენრიხ პრუსიელი მეუღლითურთ ინგლისს წავიდა დილით გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებად.

ლონდონი. ბიულეტენი. მეფე გუშინ მიბრძანდა ლონდონს და არავითარი დაღლილობა არ იგრძნო. კარგად ბრძანდება. იარა თითქმის გაუმთელდა.

რეველი. გუშინ საღამოს 8 საათზე „ჰოჰენცოლერნზე“ იყო სადღესასწაულო სადილი. გერმანიის იმპერატორი, თავის ნარვის პოლკის მუნდირით მოსილი, მიესალმა კიბესთან რუსთა ხელმწიფეს, რომელსაც ეცვა გერმანიის საზღვაო ფორმა. სუფრაზედ ხელმწიფე იმპერატორის მარცხნივ იჯდა გერმანიის იმპერატორი, მარჯვნივ — კანცლერი ბიულოვი, მათ უდიდებულესობათა პირდაპირ — ობერგოფმარშალი გრაფი ლამზდორფი. სადილს წინად რეველში მყოფმა გერმანიის ელჩმა კოხმა გერმანიის იმპერატორს აქაურ გერმანელთა ახალშენის სახელით მიართვა ნახატებიანი ალბომი რეველის სახილველთა და ადრესი. იმპერატორმა გასინჯა ზოგიერთი სურათები, მადლობა გადაუხადა ახალშენს და საკუთარის ხელით უბოძა ორდენი ელჩს. ნასადილევს ორნივე ხელმწიფენი სეირნობდნენ ბაქანზედ. საღამოს 10 საათს გემები განათდა ელექტრონის ჩირაღდნით. შემდეგ 10 საათისა ხელმწიფენი წაბრძანდნენ „შტანდარტზე“ და დაესწრნენ გემებზედ არტილერიის განათებულს ალმებში საცდელს სროლას. ასე, 12-ის ნახევარზედ გერმანიის იმპერატორი დაბრუნდა „ჰოგენცოლერნზე“. დღეს, დილის 8 საათზედ, ხელმწიფენი გემს „მინინზე“ დაესწრნენ არტილერიის რაზმის ალლუმს და ყველანაირ ზარბაზნის სროლას კიდის პირპირ მცურავს ნიშნებში და კუნძულს კარლოსზედ დაყრილს მიწის ზვინებში.

ლონდონი. „Times“-ის მიერ შანხაიდგან მიღებულ ცნობით, ამერიკის კომისარმა შარიტმა ნანკინის ვიცე-კოროლს ახლახან აუწყა, ამერიკის მთავრობა არ იკისრებსო ვალდებულებათ, რომელიც გამოთქმულია ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულობის მე-8 მუხლში შესახებ „ლიკინის“ გაუქმებისა.

ბელგრადი. სკუპშჩინის კრებანი გადაიდო 31 ოქტომბრამდე.

რეველი. 2 ს. 30 წ. იწყეს გადასვლა არტილერიის გემების რაზმის კაცებმა კუნძულს კარლოსზედ და სროლა ნავებიდგან. სამს საათს მათნი უდიდებულესობანი ხომალდით მობრძანდნენ კუნძულს კარლოსზედ და დაესწრნენ სროლას. დესანტმა რომ გაიარა მათთა უდიდებულესობათა წინაშე, იგინი ექვსის ნახევარზედ ხომალდით წაბრძანდნენ „შტანდარტზე“.

26 ივლისი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გადასწყვიტა: გამოეცხადოს ჟურნალ „Хозяинъ“-ს პირველი გაფრთხილება 29 №-ში ამ სათაურის წერილის დაბეჭდვისათვის „На злобу дня“.

ხოლერის მხრივ არა საიმედოდ იქმნა ცნობილი მთლად ეგვიპტე 16 ივლისიდამ და ქალაქი ნაღასაკი 24 ივლისიდან.

24 ივლისს გაემართა მოსკოვს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ.

„Правит. Вѣстн.“-ში დაბეჭდილია, რომ უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა პროექტი საერო განათლების სამინისტროს კომისიისა სწავლების საქმის მოწყობის შესახებ გიმნაზიებს, პროგიმნაზიებს და რეალურს სასწავლებლებში 1902—1903 სამოსწავლო წლისათვის.

ლონდონი. ერის მიმართ გამოქვეყნებულ მოწოდებაში მეფე, დაგვირგვინების წინა დღეს, იმ დაგვირგვინებისა, რომელიც ყოვლად დიდის მნიშვნელობის ამბავია მის ცხოვრებაში, გულითადს მადლობას უძღვნის ერს და ახალშენთა მცხოვრებლებსა და ინდოეთის მკვდრთა, თანაგრძნობა გამოიცხადეთ, გულმტკივნეულობა გამოიჩინეთ იმ ჩემის ავადმყოფობის დროსა, რომელიც სიკვდილს მიქადდაო. მადლობას გიცხადებთ იმ გასაოცარის მოთმინებისათვის, რომელთაც აიტანეთ უხერხულობა და უსიამოვნობა, გამოწვეული დაგვირგვინების გადადებითაო. მეფე ამბობს, ვმადლობ განგებასა, რომელმაც განაგრძო დღენი ჩემნი და მომცა ძალი, რომ აღვასრულო დიდის ბრიტანიის იმპერიის მონარქის მძიმე მოვალეობანიო.

ალექსანდრია. აქ ხოლერა გაჩნდა; დღემდე ხუთი გახდა ავად და მათ შორის ოთხი მოკვდა.

ბელგრადი. სენატში მინისტ-პრეზიდენტმა სთქვა, რომ მთავრობა სიამოვნებით ემხრობა გააგის სამშვიდობო კონფერენციის დასკვნილს აზრებს და შემოდგომის სესიის დროს წარმოუდგენთ პალატებს დასამტკიცებლადაო.

სკუპშჩინის დღევანდელის კრებაზედ დეპუტატებმა ერთხმად უარი განაცხადეს, არ მივიღებთ ჩვენდა კუთვნილს სასყიდელს, რადგანაც ამ ხანად სკუპშჩინის კრებანი მხოლოდ გადაიდოვო და არა დამთავრდაო.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,67½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅞ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	461 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	351 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82⅛ გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	90 გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	465 წვ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	4,300 წვ. გაყ
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	355 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	171 „

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 30 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ბართლომე ქუთათელაძისა და თავ. ივანე წულუკიძის დავა 100 მანეთ ზარალზედ.
2. არონ ჯიჯელხაშვილის და ზაქარია მინდიაშვილის ცხენის შესახებ 23 მანეთზედ.
3. ჩაქტო ანთიასი და კოსტა მესხის დავა 60 მანეთზედ.
4. ბაბვა ჯანჯღავასი და პეპი მიქელაძის დავა 75 მანეთზედ.
5. ბაბვა ჯანჯღავასი და ალექსანდრე ჩაჩიბაიას დავა თ. პეპი მიქელაძესთან ერთად და სხვ. 69 მან. 11 კაპეიკზედ.
6. ნიკოლოზ ზაალოვისა და მიხეილ ნონიევისა და სხვ. დავა 1063 მანეთზედ.
7. იაკობ გოკიელოვისა და პლატონ ფეტისოვის დავა სამუშაოს ფულზედ.
8. მალხაზა დარასელიასი და ბესარიონ მოდუას დავა 66 მანეთზედ.

ყოველ-დღური საჭირო ცნობანი

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ოთხი სუფთა ოთახი

წყლით, სამზარეულოთი, სარდაფით და სხვა მოწყობილობით იძლევა ქირით. ორბელიანის ქუჩა, № 9, სახლი **კარახანოვისა**.

(1—393—1)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ

კავკავის სკოლაში ორი თავისუფალი ადგილია მასწავლებლისა.

გალობა-სიმღერის ცოდნა სავალდებულოა. ვისაც სურს ხსენებულის ადგილების დაჭერა, მან უნდა წარმოუდგინოს საჭირო დოკუმენტები თხოვნასთან ერთად ან საზოგადოების გამგეობას, ან თვითონ კავკავის სკოლის გამგეს ბ. პართენ ალექსანდრეს ძე გოთუას.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად საშინელის გაჭირვებისა გამო და შევებავი გატანჯულის ცოდ-შიმილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობის გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა სამართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევკრიბეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ქვითკირით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იერის მუხლს გულის თვისის და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომლებიცა [illegible] არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში, — აღგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწიონ ღვთის გულისათვის, ვისაც რაით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამოდ მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველს შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
მკურნალი—ვლ. ინაევი
გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნადვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნადვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვედრებ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილისა	„	30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1	40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„	60
აბო ტფილელი, ე. კ.	,,	30
Або Тифлисскій, Е. К.	,,	5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,,	60
საალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ.	„
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„	30
ყოველის მხრიდგან. არბოლელისა.	„	10
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	,,	15
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„	50
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	,,	30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.	
ფეირია სიტყვიერების, კელენჯერიძისა	,,	40
ხელი და ხატრაში, თრ. ელ. წერეთლისა	,,	10
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,,	30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1	,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,,	5
დედა, ანდერსენისა	,,	8
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	,	30
კუბიკები ქართულის ანბანისა	1 მ.	20
ლექსები განდეგილისა	,,	50
ყველოშვილისა	,,	50
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ.	,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	,,	20
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	,,	10
Давидъ Гареджели, Е. К.	,,	15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	,,	15

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.